



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302116163
თარიღი: 10/06/2021
პინი: 8138

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ.ლანჩხუთი,მ.კოსტავას ქ.№37

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, შესაბამისად წარმოგიდგენთ „ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ -„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ, ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, საქართველოს მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორი ცხოვრების შესახებ“ ევროპული ქარტიის ხელმოწერის ვალდებულება.

2019 წელს, ქუთაისის, რუსთავის, ლაგოდეხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები შეუერთდნენ აღნიშნულ ქარტიას. ხოლო 2020 წლის ბოლოს, კიდევ თოთხმეტმა ქართულმა მუნიციპალიტეტმა მოაწერა ხელი დოკუმენტს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას“.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ გენდერულ საკითხებში დამხმარე მოსამსახურის, ლოლიტა ურუშაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302116076
თარიღი: 09/06/2021

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილის

ბატონო ალექსანდრე,

2006 წლის მაისში ევროკომისიის მხარდაჭერით, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, მიღებულ იქნა კანონპროექტი „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“. ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისთვის, რომლებიც მოწვეულნი არიან, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმძღვანელი მხარე ვალდებულია, შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები.

ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასათვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებისა და მამაკაცების შორის თანასწორობის სასარგებლოდ.

ზემოთაღნიშნულისა განმარტებისა და ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, საქართველოს მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი ცხოვრების შესახებ“ ევროპული ქარტიის ვალდებულება.

2019 წელს, ქუთაისის, რუსთავის, ლაგოდეხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები შეუერთდნენ აღნიშნულ ქარტიას. ხოლო, 2020 წლის ბოლოს, კიდევ თოთხმეტმა ქართულმა მუნიციპალიტეტმა მოაწერა ხელი დოკუმენტს.

მიზანშეწონილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ევროპის მუნიციპალიტეტთა და

რეგიონთა (CEMR) მიწვევით, შეუერთდეს და ხელი მოაწეროს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ინიციატივის წარდგენა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შემდგომში განხილვისთვის და თანხმობის მიღების მიზნით.

ლოლიტა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-დამხმარე მოსამსახურე გენდერულ საკითხებში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2021 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებულ - „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, ინსბრუკში, 2006 წლის მაისში, წარმოდგენილი იქნა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის V სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში. ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც მოწვეულნი არიან, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია, შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან

ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია



ევროპის
რეგიონთა და
მუნიციპალიტეტთა საბჭო
Conseil des Communes
et Régions d'Europe
Council of European
Municipalities and Regions

წარმოდგენილია ევროპის რეგიონთა და
მუნიციპალიტეტთა საბჭოს (CEMR) გენერალურ
ასამბლეაზე ინსბრუკი, 2006 წლის მაისი

დაწერილია CEMR-ის მიერ ქალთა და კაცთა თანასწორობის
საზოგადოების მე-V სამოქმედო პროგრამის ფარგლებში

კონტაქტი: სანდრა ჩეჩარინი
sandra.cecianini@ccre.org

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია

ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ქარტია, რომელიც აკისრებს მათ თავიანთი პარტნიორობის და უფლებამოსილებების გამოყენების ვალდებულებას საკუთარი ხალხისთვის მეტი თანასწორობის მისაღწევად.

შედგენილი და ხელშეწყობილია
ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოსა და
მისი პარტნიორების მიერ

[შესავალი]

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია მიმართულია მის ხელმოსაწერად მონვეული ევროპის ადგილობრივი და რეგიონული მთავრობებისკენ, რომ მათ ოფიციალურად აიღონ ვალდებულება ქალთა და კაცთა თანასწორობის პრინციპის მიმართ და განახორციელონ ამ ქარტიაში დადგენილი ვალდებულებები თავიანთ ტერიტორიაზე.

აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ხელშესაწყობად, თითოეული ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია შეადგინოს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც ადგენს პრიორიტეტებს, მოქმედებებსა და რესურსებს ამ მიმართულებით.

გარდა ამისა, თითოეული ხელმომწერი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ითანამშრომლოს საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ყველა ინსტიტუტთან და ორგანიზაციასთან, რათა ხელი შეუწყოს რეალური თანასწორობის მიღწევას პრაქტიკაში.

ქარტია შედგენილია პროექტის ფარგლებში (2005-2006), რომელიც განხორციელდა ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს მიერ, ქვემოთ ჩამოთვლილ მრავალ პარტნიორთან ერთად. პროექტს მხარი დაუჭირა ევროკომისიამ, ქალთა და კაცთა თანასწორობის საზოგადოების მე-5 სამოქმედო პროგრამის მეშვეობით.

...

ქალთა და კაცთა თანასწორობა წარმოადგენს ყველასათვის ფუნდამენტალურ უფლებას და არსებით ფასეულობას თითოეული დემოკრატიისთვის. ამის მისაღწევად, ეს უფლება უნდა იყოს აღიარებული არა მხოლოდ იურიდიულად, არამედ ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული ცხოვრების ყველა ასპექტში: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დონეებზე.

ფორმალური აღიარებისა და მიღწეული პროგრესის მრავალი შემთხვევის მიუხედავად, ქალთა და კაცთა თანასწორობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ პრობლემურია. ქალები და კაცები რეალურად არ სარგებლობენ ერთი და იგივე უფლებებით. გრძელდება სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური

და კულტურული უთანასწორობა-მაგალითად, ხელფასებს შორის სხვაობა და არასაკმარისი წარმომადგენლობა პოლიტიკაში.

ეს უთანასწორობა არის სოციალური კონსტრუქციების შედეგი, რომლებიც აგებულია ოჯახში, განათლებაში, კულტურაში, მედიაში, სამუშაო გარემოში, საზოგადოების ორგანიზებაში არსებულ უამრავ სტერეოტიპზე დაყრდნობით... არსებობს უამრავი სფერო, რომელშიც შესაძლებელია მოქმედება, ახალი მიდგომის მიღება და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება.

ვინაიდან ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები წარმომადგენენ ხალხთან ყველაზე ახლოს მყოფ მმართველობის სფეროებს, მათ უკავიათ ხელსაყრელი პოზიცია, რომ იბრძოლონ უთანასწორობის წინააღმდეგ და ამასთანავე, ხელი შეუწყონ ქვეყნის მთლიან ევალუატარული საზოგადოების ჩამოყალიბებას. თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში და ადგილობრივ მოღვაწეებთან თანამშრომლობის გზით, მათ შეუძლიათ განახორციელონ კონკრეტული ქმედებები ქალთა და კაცთა თანასწორობის სასარგებლოდ.

უფრო მეტიც, სუბსიდიარობის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლების პრაქტიკულ განხორციელებასთან მიმართებაში. ეს პრინციპი ვრცელდება მართვის ყველა დონეზე - ევროპული, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს აკისრიათ პასუხისმგებლობის მრავალფეროვანი სპექტრი, ყველა მათგანს შეუძლია და უნდა ითამაშოს პოზიტიური როლი თანასწორობის ხელშეწყობაში პრაქტიკული გზით, რაც გავლენას ახდენს მათი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სუბსიდიარობის პრინციპთან მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის პრინციპები. ევროპის საბჭოს 1985 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტია, რომლის ხელმოწერა და რატიფიცირება მოხდა ევროპის სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მიერ, ხაზს უსვამს „ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას კანონის ფარგლებში არეგულირონ და მართონ საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი წილი საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“. თანასწორობის უფლების განხორციელება და ხელშეწყობა უნდა იდოს ადგილობრივი თვითმმართველობის ამ კონცეფციის საფუძველში.

ადგილობრივმა ან რეგიონულმა დემოკრატიაშ უნდა დაუშვას ყველაზე შესაფერისი არჩევანის გაკეთება ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით, როგორცაა საცხოვრებელი ფართი, უსაფრთხოება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სამუშაო სფერო ან ჯანმრთელობა.

უფრო მეტიც, ქალთა სრული ჩართულობა ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში

საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, ნოუ-ჰაუ და შემოქმედება.

თუ ჩვენ გვსურს მივალწიოთ თანასწორობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, მაშინ აუცილებელია, რომ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მთავრობებმა სრულად გაითვალისწინონ გენდერული განზომილება თავიანთ პოლიტიკაში, ორგანიზაციასა და პრაქტიკაში. დღევანდელ და ხვალისდელ სამყაროში ქალთა და კაცთა რეალური თანასწორობა, ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკური და სოციალური წარმატებისთვის - არა მხოლოდ ევროპულ თუ ეროვნულ დონეზე, არამედ ჩვენს რეგიონებში, ქალაქებსა და ადგილობრივ საზოგადოებაში.

ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭო მისი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების არჩეული წარმომადგენელი ქალების კომიტეტი, მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად ხელს უწყობდნენ ქალთა და კაცთა თანასწორობის დამკვიდრებას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. 2005 წელს CEMR-მა აამოქმედა ევროპული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონკრეტული მექანიზმი: „ქალაქი თანასწორობისთვის“. ევროპის გარკვეული ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების კარგ პრაქტიკაზე დაყრდნობით, „ქალაქი თანასწორობისთვის“ გვთავაზობს ქალთა და კაცთა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო მეთოდოლოგიას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. წინამდებარე ქართია ემყარება აღნიშნულ ნაშრომს.

ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში დადასტურდა 1998 წელს მიღებულ IULA-ს (ადგილობრივი ხელისუფლებების საერთაშორისო კავშირი) მსოფლიო დეკლარაციაში „ქალები ადგილობრივ თვითმმართველობაში“. ახალი მსოფლიო ორგანიზაცია, გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი ხელისუფლება ქალთა და კაცთა თანასწორობას თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ინარჩუნებს.

პრეამბულა

ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას, შემდეგ პარტნიორებთან თანამშრომლობით:

ბულგარეთის რესპუბლიკის
მუნიციპალიტეტების ეროვნული
ასოციაცია (NAMRB) კვიპროსის
მუნიციპალიტეტების კავშირი (UCM)
ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და
თემთა კავშირი (SMO CR)

ფინეთის ადგილობრივი და რეგიონული
ხელისუფლების ორგანოების ასოციაცია
(AFLRA)

CEMR-ის ფრანგული განყოფილება (AFC-
CRE)

CEMR-ის გერმანული განყოფილება (RGRE)

საბერძნეთის მუნიციპალიტეტებისა და
თემთა ცენტრალური კავშირი (KEDKE)

უნგრეთის ადგილობრივი ხელისუფლების
ორგანოების ეროვნული ასოციაცია
(TÖOSZ)

CEMR- ის იტალიური განყოფილება
(AICCRE)

AICCRE– ის ტოსკანის ფედერაცია

ლუქსემბურგის ქალაქებისა და
მუნიციპალიტეტების ასოციაცია (SYVICOL)

პოლონეთის ქალაქების ასოციაცია (ZMP)

ესპანეთის მუნიციპალიტეტებისა და
პროვინციების ფედერაცია (FEMP)
ბასკური მუნიციპალიტეტების ასოციაცია
(EUEDEL) ქალაქი ვენა (ავსტრია)
ქალაქი სენ ჟან დე ლა რუელი
(საფრანგეთი) ქალაქი ფრანკფურტი
მაინზე (გერმანია) ქალაქი კარტახენა
(ესპანეთი) ქალაქი ვალენსია (ესპანეთი)

დროისა და მობილობის სახლი ბელფორ-
მონბელიარი (საფრანგეთი)

ადგილობრივი და რეგიონული
ხელისუფლების ორგანოების
ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის
პარტნიორობის მუდმივმოქმედი
კომიტეტი (COPPEM)

ეხმიანებიან რა, რომ ევროპის გაერთიანება და კავშირი ეფუძნებაფუნდამენტურუფლებებსა და თავისუფლებას, მათ შორის ქალთა და კაცთა თანასწორობის ხელშეწყობას და რომ ევროპული კანონმდებლობა საფუძვლად დაედო ევროპაში ამ დარგში მიღწეულ პროგრესს;

ეხმიანებიან რა, გაეროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს და კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და 1979 წელს მიღებულ კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

ხაზს უსვამენ ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილს ქალთა და კაცთა თანასწორობის ხელშეწყობის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხში;

ითვალისწინებენ რა, რომ ქალთა და კაცთა თანასწორობა გულისხმობს ნებას განხორციელდეს ქმედებები სამი დამატებითი მიმართულებით. კერძოდ, პირდაპირი უთანასწორობის აღმოფხვრა, არაპირდაპირი უთანასწორობის აღმოფხვრა და პოლიტიკური, იურიდიული და სოციალური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეგალიტარიანული დემოკრატიის პრაქტიკულ განვითარებას;

მწუხარებას გამოთქვამენ თანასწორობის უფლების იურიდიულად აღიარებასა და მის რეალურ და ეფექტურ გამოყენებას შორის არსებული შეუსაბამობის გამო;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპაში ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ (და უნდა ასრულებდნენ) მათი მოქალაქეებისა და მაცხოვრებლებისთვის თანასწორობის უფლების, განსაკუთრებით ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლების განხორციელებაში მათი მოვალეობების ყველა ასპექტში;

ითვალისწინებენ რა, რომ დემოკრატიისთვის აუცილებელია ქალთა და კაცთა დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ჩვენი მოქმედების **შთაგონება არის**, კერძოდ, 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1995 წლის პეკინის დეკლარაცია და გაეროს მოქმედების პლატფორმა, 2000 წლის გენერალური ასამბლეის 23-ე სპეციალური სესიის რეზოლუციები (პეკინი +5), ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, საბჭოს 1996 წლის დეკემბრის რეკომენდაცია ქალთა და კაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ადგილობრივი თვითმმართველობების საერთაშორისო კავშირის 1998 წლის მსოფლიო დეკლარაცია ქალთა შესახებ ადგილობრივ მმართველობაში;

გვსურს **აღვნიშნოთ**, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს 1981 წლის კონვენციის ძალაში შესვლის ოცდამეხუთე წლისთავი;

**ვინვევთ ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს ხელი მო-
აწერონ და განახორციელონ ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ
ქარტიის პრინციპები.**



[ნაწილი I]

პრინციპები

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ქართიის ხელმომწერები აღიარებენ შემდეგს, როგორც ჩვენი მოქმედების ფუნდამენტურ პრინციპებს:

1. ქალთა და კაცთა თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას

ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა უნდა განახორციელონ ეს უფლება თავიანთი საქმიანობის ყველა სფეროში. მათ შორის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ვალდებულება, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია.

2. ქალთა და კაცთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, უნდა განვიხილოთ ყველა ფორმის დისკრიმინაცია და უგულებელყოფა.

ყველა ფორმის დისკრიმინაცია და უგულებელყოფა, რომელიც სქესის გარდა ეფუძნება რასას, ფერს, ეთნიკურ და სოციალურ წარმოშობას, გენეტიკურ მახასიათებლებს, ენას, რელიგიას ან რწმენას, პოლიტიკურ ან სხვა მოსაზრებას, ეროვნული უმცირესობის წევრობას, ქონებას, დაბადებას, შეზღუდულ შესაძლებლობას, ასაკს, სექსუალურ ორიენტაციას ან სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს, უნდა გავითვალისწინოთ ქალთა და კაცთა თანასწორობის საკითხში.

3. ქალთა და კაცთა დაბალანსებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობა

ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლება მოითხოვს, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა მიიღონ ყველა სათანადო ზომა და ყველა შესაბამისი სტრატეგია, რათა ხელი შეუწყონ ქალთა და კაცთა დაბალანსებულ წარმომადგენლობას და მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას ყველა სფეროში

4. გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა ფუნდამენტურია ქალთა და კაცთა თანასწორობის მისაღწევად.

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ სტერეოტიპებისა და დაბრკოლებების აღმოფხვრას, რომლებზეც დაფუძნებულია ქალების სტატუსისა და მდგომარეობის მიხედვით უთანასწორობა, რაც თავის მხრივ იწვევს ქალთა და კაცთა როლის არათანაბარ შეფასებას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით.

5. გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ყველა საქმიანობაში აუცილებელია ქალთა და კაცთა თანასწორობის გაუმჯობესებისთვის

აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გენდერული პერსპექტივა პოლიტიკის, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავებისას, რომლებიც გავლენას ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე – მაგალითად, „გენდერული მეინსტრიმინგის“¹ და „გენდერული ბიუჯეტირების“² გამოყენებით. ამ მიზნით, უნდა გაანალიზდეს და გათვალისწინებულ იქნას ქალთა გამოცდილება ადგილობრივ ცხოვრებაში, მათ შორის მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.

6. სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმები და პროგრამები აუცილებელი ინსტრუმენტია ქალთა და კაცთა თანასწორობის გაუმჯობესებისთვის

ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა უნდა შეადგინონ თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები, მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსებით.

ეს პრინციპები წარმოადგენენ მე-III ნაწილში დადგენილი მუხლების საფუძველს.

¹ **გენდერული მეინსტრიმინგი:** 1997 წლის ივლისში გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) გენდერული მეინსტრიმინგის კონცეფცია შემდეგნაირად განსაზღვრა: „გენდერული პერსპექტივის მეინსტრიმინგი არის პროცესი, რომელიც აფასებს ნებისმიერი დაგეგმილი მოქმედების (მათ შორის კანონმდებლობის, პოლიტიკის ან პროგრამების) ზეგავლენას ქალზე და კაცზე ყველა სფეროში და ყველა დონეზე. ეს არის სტრატეგია, რომლითაც ქალისა და კაცის პრობლემები და გამოცდილება უნდა გახდეს ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების განუყოფელი ნაწილი, რათა ქალებმა და კაცებმა მიიღონ თანაბარი სარგებელი და არ ჰქონდეს ადგილი უთანასწორობას. მეინსტრიმინგის საბოლოო მიზანი არის გენდერული თანასწორობის მიღწევა.“

² **გენდერული ბიუჯეტირება:** „გენდერული ბიუჯეტირება არის გენდერული მეინსტრიმინგის გამოყენება ბიუჯეტის შედგენის პროცესში. ეს ნიშნავს ბიუჯეტების გენდერულ შეფასებას, გენდერული პერსპექტივის დანერგვას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურირაციას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.“

[ნაწილი II]

ქარტიის და მისი ვალდებულებების შესრულება

ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები ამ ქარტიის დებულებების განსახორციელებლად:

(1) ამ ქარტიის თითოეული ხელმომწერი, ხელმოწერის დღიდან გონივრულ ვადებში (არა უმეტეს ორი წლისა) შეიმუშავებს და დაამტკიცებს საკუთარ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმას და შემდეგ განახორციელებს მას.

(2) თანასწორობის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ხელმომწერის მიზნებსა და პრიორიტეტებს, მის მიერ დაგეგმილ ზომებსა და გამოსაყოფ რესურსებს, ქარტიისა და მისი ვალდებულებების შესრულების მიზნით. გეგმა, ასევე განსაზღვრავს განხორციელების შემოთავაზებულ ვადებს. იმ შემთხვევაში თუ ხელმომწერს უკვე აქვს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, იგი განიხილავს გეგმას, რათა უზრუნველყოს, რომ იგი აკმაყოფილებდეს ამ ქარტიის ყველა შესაბამის მოთხოვნას.

(3) თანასწორობის სამოქმედო გეგმის მიღებამდე, თითოეული ხელმომწერი გაივლის ფართო კონსულტაციებს და ასევე, ფართოდ გაავრცელებს საკუთარ გეგმას მისი მიღებისთანავე. იგი ასევე, რეგულარულად და საჯაროდ მოახდენს ანგარიშგებას გეგმის განხორციელების პროცესში მიღწეული წინსვლის შესახებ.

(4) თითოეული ხელმომწერი გადახედავს საკუთარ თანასწორობის სამოქმედო გეგმას, თუ ამას გარემოებები მოითხოვს, და შეადგენს შემდგომ გეგმას ყოველი შემდეგი პერიოდისთვის.

(5) თითოეული ხელმომწერი იღებს ვალდებულებას ითანამშრომლოს შეფასების შესაბამის სისტემასთან, რომელიც უნდა შეიქმნას ამ ქარტიის განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესის შეფასების მიზნით

და დაეხმაროს ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს ერთმანეთისგან ისწავლონ ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის განხორციელების ეფექტიანი საშუალებების შესახებ. ამ მიზნებისათვის, იგი ხელმისაწვდომს გახდის მის თანასწორობის სამოქმედო გეგმებსა და სხვა შესაბამის საჯარო მასალებს.

(6) თითოეული ხელმომწერი წერილობით შეატყობინებს ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს იმ ფაქტის შესახებ, რომ მან ხელი მოაწერა ქარტიას, თარიღისა და ქარტიასთან დაკავშირებით სამომავლო თანამშრომლობისთვის გამოყოფილი საკონტაქტო პირის მითითებით.

[ნაწილი III]

დემოკრატიული ანგარიშვალდებულება

მუხლი 1

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლება არის დემოკრატიის ფუნდამენტური წინაპირობა და რომ დემოკრატიულ საზოგადოებას არ აქვს საშუალება უგულებელყოს ქალთა უნარები, ცოდნა, გამოცდილება და შემოქმედება. ამ მიზნით, თანასწორობის საფუძველზე, მან უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა წარმოშობის და ასაკობრივი ჯგუფის ქალთა ჩართვა, წარმომადგენლობა და ჩართულობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების ყველა სფეროში.

(2) ხელმომწერი, როგორც დემოკრატიული გზით არჩეული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მისი მოსახლეობისა და რეგიონის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე, შესაბამისად იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს და განაგრძოს ამ უფლების პრაქტიკული გამოყენება საქმიანობის ყველა სფეროში - როგორც ადგილობრივი საზოგადოების დემოკრატიული ლიდერი, მომსახურების მიმწოდებელი და წარმომადგენელი, დამგეგმავი და მარეგულირებელი და როგორც დამსაქმებელი.

პოლიტიკური როლი

მუხლი 2 – პოლიტიკური წარმომადგენლობა

(1) ხელმომწერი აღიარებს ქალთა და კაცთა თანაბარ უფლებებს ხმის მიცემის, კანდიდატად კენჭისყრის და საარჩევნო თანამდებობის დაკავების შესახებ.

(2) ხელმომწერი აღიარებს ქალთა და კაცთა თანაბარ უფლებებს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, დაიკავონ სახელმწიფო თანამდებობა და შეასრულონ ყველა საჯარო ფუნქცია მმართველობის ყველა დონეზე.

(3) ხელმომწერი აღიარებს დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპს ყველა არჩეულ და საზოგადოებრივ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში.

(4) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ყველა გონივრული ზომა ზემოაღნიშნული უფლებებისა და პრინციპის მხარდასაჭერად, მათ შორის:

- ხელი შეუწყოს ხმის მისაცემად ქალთა რეგისტრაციას, ინდივიდუალური ხმის მიცემის უფლებების გამოყენებას და საჯარო თანამდებობისთვის კანდიდატურის წამოყენებას;
- ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს, მიიღონ და განახორციელონ ქალთა და კაცთა დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპი;
- ამ მიზნით, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს გადადგან ყველა კანონიერი ნაბიჯი, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში კვოტირების მიღებით, რომ გაიზარდოს კანდიდატად შერჩეული და შემდგომ არჩეული ქალთა რაოდენობა;
- მოახდინოს საკუთარი პროცედურების და ქცევის სტანდარტების რეგულირება ისე, რომ პოტენციური კანდიდატები და არჩეული წარმომადგენლები არ დათრგუნონ ქცევის სტერეოტიპული ფორმებით და ენით, ან შევიწროებით;
- მიიღოს ზომები, რომ არჩეულმა წარმომადგენლებმა შეათავსონ თავიანთი პირადი, სამუშაო და საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგალითად, იმის უზრუნველყოფით, რომ გრაფიკები, სამუშაო მეთოდები და დამოკიდებული მზრუნველობის ხელმისაწვდომობა საშუალებას მისცემს ყველა არჩეულ წარმომადგენელს სრულად მიიღოს მონაწილეობა.

(5) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს და გამოიყენოს დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპი საკუთარ გადაწყვეტილების მიმღებ და საკონსულტაციო ორგანოებში და აგრეთვე, მისი დანიშვნისას გარე ორგანოებში.

ამასთან, თუ ხელისუფლების ორგანოში ამჟამად არ არის ქალთა და კაცთა დაბალანსებული წარმომადგენლობა, იგი განახორციელებს ზემოთ აღ-

ნიშნულს ისე, რომ არანაკლები უპირატესობა მიენიჭოს გენდერულ უმცირესობას, ვიდრე ამჟამად ენიჭება გენდერულ ბალანსს.

(6) ამასთან, იგი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ არცერთი საზოგადოებრივი ან პოლიტიკური თანამდებობა, რომელსაც ის ნიშნავს ან რომლისთვისაც ირჩევს წარმომადგენელს, (პრინციპში ან პრაქტიკაში) არ შეიზღუდება ან განიხილება როგორც ერთი სქესისთვის განკუთვნილი როლი სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო.

მუხლი 3 – მონაწილეობა პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მოქალაქეთა უფლება მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეთა წარმართვაში, არის ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპი და რომ ქალებსა და კაცებს აქვთ უფლება თანაბრად მიიღონ მონაწილეობა მათი რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი საზოგადოების მმართველობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

(2) საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის სხვადასხვა ფორმებთან მიმართებაში, მაგალითად, ჩართულობა საკონსულტაციო კომიტეტების, სამეზობლო საბჭოების, ელექტრონული მონაწილეობის ან მონაწილეობის დაგეგმვის სავარჯიშოების მეშვეობით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ ქალებს და კაცებს ექნებათ რეალური შესაძლებლობა მიიღონ თანაბარი მონაწილეობა. იქ, სადაც მონაწილეობის არსებული საშუალებები არ იძლევა ასეთ თანასწორობას, იგი იღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს და გამოსცადოს ახალი მეთოდები.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა აქტიურ მონაწილეობას მის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთაგან, განსაკუთრებით იმ ქალებისა და კაცების უმცირესობის ჯგუფებიდან, რომლებიც სხვაგვარად შეიძლება იყვნენ გამორიცხულნი.

მუხლი 4 – თანასწორობის საჯარო ვალდებულება

(1) ხელმომწერი, როგორც დემოკრატიული ლიდერი და საკუთარი საზოგადოების და ტერიტორიის წარმომადგენელი, იღებს ოფიციალურ და საჯარო ვალდებულებას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალისა და კაცის თანასწორობის პრინციპის მიმართ, მათ შორის:

- ხელმომწერის მიერ ამ ქარტიის ხელმოწერის შესახებ განცხადება მისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დებატებისა და დამტკიცების შემდგომ;
- ვალდებულება შეასრულოს ამ ქარტიით ნაკისრი ვალდებულებები და რეგულარულად მოახდინოს საჯაროდ ანგარიშგება თავისი თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- ვალდებულება, რომ ხელმომწერი და მისი არჩეული წევრები შეასრულებენ და დაიცავენ სწორი ქცევის სტანდარტებს გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში.

(2) ხელმომწერი გამოიყენებს თავის დემოკრატიულ მანდატს, რომ ხელი შეუწყოს სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, კერძო ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მიიღონ ზომები ქალთა და კაცთა თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველსაყოფად.

მუხლი 5 – პარტნიორებთან მუშაობა თანასწორობის ხელშეწყობისთვის

(1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ითანამშრომლოს ყველა მის პარტნიორთან საჯარო და კერძო სექტორებიდან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომ მის ტერიტორიაზე ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა თანასწორობას ცხოვრების ყველა ასპექტში. ამ მიზნით, იგი განსაკუთრებით შეეცდება ითანამშრომლოს მის პარტნიორებთან.

(2) თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავების და გადახედვის პროცესში, ხელმომწერი გაივლის კონსულტაციას საკუთარ პარტნიორ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის სოციალურ პარტნიორებთან და გაივლის მათთან ერთად თანასწორობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც.

მუხლი 6 – სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა

(1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას შეენიანაღმდეგოს და შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ცრურწმენები, სიძულვილის ენისა და გამოსახულებების პრაქტიკა და გამოყენება, რომლებიც ემყარება რომელიმე სქესის უპირატესობის ან ქალთა და კაცთა სტერეოტიპულ როლებს.

(2) ამ მიზნით, ხელმომწერი უზრუნველყოფს, რომ საკუთარი საჯარო და შიდა კომუნიკაციები სრულად შეესაბამებოდეს ამ ვალდებულებას და ხელს შეუწყობს პოზიტიური გენდერული მაგალითების წარმოჩენას.

(3) ტრენინგების და სხვა საშუალებების გზით, ხელმომწერი, ასევე დაეხმარება საკუთარ თანამშრომლებს სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და ქცევის იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში და ასევე, დაარეგულირებს ქცევის სტანდარტებს ამ კუთხით.

(4) ხელმომწერი განახორციელებს ღონისძიებებსა და კამპანიებს გენდერული სტერეოტიპების საზიანო როლის შესახებ, ცნობიერების ასამაღლებლად ქალთა და კაცთა თანასწორობის მიღწევის საქმეში.

მუხლი 7 – კარგი ადმინისტრაცია და კონსულტაცია

(1) ხელმომწერი აღიარებს ქალთა და კაცთა უფლებას თავიანთი საქმეები განხილულ იქნას თანაბრად, მიუკერძოებლად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში, მათ შორის:

- აზრის გამოთქმის უფლებას ნებისმიერი ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელმაც შეიძლება მათზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა;
- ორგანოს მოვალეობაა დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილებები;
- მათზე მოქმედ საკითხებზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების უფლება.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, შესაძლებელია მისი პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების ხარისხის გაუმჯობესება, თუ ყველას, ვისზეც ეს გავლენას ახდენს, შეეძლება კონსულტაციის მიცემა. აუცილებელია, რომ ქალებსა და კაცებს პრაქტიკაში ჰქონდეთ თანაბარი წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე და მიეცეთ რეაგირების თანაბარი შესაძლებლობა.

(3) ამრიგად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- უზრუნველყოფს, რომ ინფორმაციის მიწოდების ღონისძიებები ითვალისწინებს ქალთა და კაცთა საჭიროებებს, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე შესაბამის წვდომას;
- უზრუნველყოფს რომ, კონსულტაციის დროს, მათ, ვისი მოსაზრებებიც სხვაგვარად არ იქნება მოსმენილი, შეუძლიათ თანაბრად მიიღონ მონაწილეობა კონსულტაციის პროცესში და მიიღონ კანონიერი პოზიტიური ზომები, რომ ეს იყოს უზრუნველყოფილი.
- საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული საკონსულტაციო საქმიანობის ჩატარება ქალებისთვის.



თანასწორობის ზოგადი ჩარჩო

მუხლი 8 – ზოგადი ვალდებულება

(1) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელმომწერი აღიარებს, პატივს სცემს და ხელს შეუწყობს ქალთა და კაცთა თანასწორობის შესაბამის უფლებებსა და პრინციპებს და ებრძვის გენდერთან დაკავშირებულ არახელსაყრელ მდგომარეობას და დისკრიმინაციას.

(2) ამ ქარტიაში მოცემული ვალდებულებები ხელმომწერზე ვრცელდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი, ან მათი შესაბამისი ასპექტები, შედიან მის კანონიერ უფლებამოსილებაში.

მუხლი 9 – გენდერული შეფასება

(1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, კომპეტენციის თითოეულ სფეროსთან დაკავშირებით, აწარმოოს გენდერული შეფასებები, როგორც ეს დადგენილია ამ მუხლში.

(2) ამ მიზნით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, შეადგინოს გენდერული შეფასების განსახორციელებელი პროგრამა საკუთარი პრიორიტეტების, რესურსებისა და ვადების შესაბამისად, რომელიც უნდა იყოს ჩართული ან გათვალისწინებული მისი თანასწორობის სამოქმედო გეგმაში.

(3) გენდერული შეფასებები, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- არსებული პოლიტიკის, პროცედურების, პრაქტიკის, მაგალითებისა და მოხმარების წესის გადახედვა, იმის შესაფასებლად გამოავლენონ ისინი თუ არა რაიმე უსამართლო დისკრიმინაციას, ემყარება თუ არა ისინი გენდერულ სტერეოტიპებს და ადეკვატურად ითვალისწინებენ თუ არა ქალთა და კაცთა კონკრეტულ საჭიროებებს.
- ზემოაღნიშნული მიზნებისათვის ფინანსური და სხვა სახის რესურსების განაწილების გადახედვა.
- პრიორიტეტებისა და საჭიროების შემთხვევაში, სამიზნეების იდენტიფიცირება ამ მიმოხილვებიდან გამომდინარე პრობლემების გადაჭრის მიზნით და მომსახურების მიწოდების შესამჩნევი გაუმჯობესებისთვის.

- საწყის ეტაპზე ახორციელებს ყველა მნიშვნელოვანი წინადადების შეფასებას, ახალი ან შესწორებული პოლიტიკის, პროცედურების და რესურსების განაწილების ცვლილებების შესახებ, ქალებზე და კაცებზე მათი პოტენციური ზემოქმედების დასადგენად და ამ შეფასების გათვალისწინებით საბოლოო გადაწყვეტილებების მისაღებად.
- მრავალრიცხოვანი დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მქონე პირთა საჭიროებების ან ინტერესების გათვალისწინება.

მუხლი 10 – მრავალი დისკრიმინაცია და უგულებელყოფა

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით, როგორიცაა სქესი, რასა, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობა, გენეტიკური ნიშნები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრება, ეროვნული უმცირესობის წევრობა, საკუთრება, დაბადება, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია;

(2) ხელმომწერი, ასევე აღიარებს, რომ ამ აკრძალვის მიუხედავად, მრავალი ქალი და კაცი განიცდის მრავალრიცხოვან დისკრიმინაციას ან უგულებელყოფას, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ უგულებელყოფას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ შესაძლებლობაზე ისარგებლონ ამ ქარტიაში მითითებული სხვა უფლებებით;

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, მიიღოს ყველა გონივრული ზომა მრავალრიცხოვან დისკრიმინაციასა ან უგულებელყოფასთან ბრძოლაში, მათ შორის:

- უზრუნველყოფს, რომ მრავალრიცხოვანი დისკრიმინაციის ან უგულებელყოფის საკითხები განხილულია მისი თანასწორობის სამოქმედო გეგმაში და გენდერულ შეფასებებში;
- უზრუნველყოფს, რომ მრავალრიცხოვანი დისკრიმინაციისა ან უგულებელყოფიდან გამომდინარე საკითხები მიღებულია მხედველობაში ამ ქარტიის სხვა მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ან ზომების განხორციელებისას;
- საჯარო საინფორმაციო კამპანიების წარმართვა სტერეოტიპების წინააღმდეგ და ქალთა და კაცთა თანაბარი მოპყრობის ხელშესაწყობად, რომლებმაც შეიძლება განიცადონ მრავალი დისკრიმინაცია ან უგულებელყოფა;
- სპეციალური ზომების მიღება მიგრანტ ქალთა და კაცთა განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

დამსაქმებლის როლი

მუხლი 11

(1) ხელმომწერი, როგორც დამსაქმებელი, ცნობს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლებას დასაქმების ყველა ასპექტში, სამუშაო ორგანიზაციის და სამუშაო პირობების ჩათვლით.

(2) ხელმომწერი აღიარებს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების დარეგულირების უფლებას და სამუშაო ადგილზე ღირსებისა და უსაფრთხოების უფლებას.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის პოზიტიური ქმედებები თავისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, ზემოხსენებული უფლებების დასაცავად.

(4) (3)-ში მითითებული ზომები მოიცავს შემდეგს:

(ა) მის ორგანიზაციაში დასაქმებასთან დაკავშირებული შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვა და მისი თანასწორობის სამოქმედო გეგმის დასაქმების ნაწილის შემუშავება და განხორციელება გონივრულ ვადაში უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და სხვათა შორის, მოიცავს:

- თანაბარ ანაზღაურებას, თანაბარი ღირებულების სამუშაოზე
- ხელფასების, ანაზღაურების, ანაზღაურების სისტემებისა და პენსიების გადახედვის ღონისძიებებს;
- ღონისძიებები სამართლიანი და გამჭვირვალე დაწინაურების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;
- ღონისძიებები ქალთა და კაცთა დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად ყველა დონეზე, კერძოდ, ზედა მენეჯმენტის რგოლებზე ნებისმიერი დისბალანსის მოსაგვარებლად;
- ზომები სქესზე დაფუძნებული სამუშაო სეგრეგაციის დაძლევისა და თანამშრომლების ნახალისება არატრადიციული დასაქმების მიმართ;
- ღონისძიებები სამართლიანი დაქირავების უზრუნველსაყოფად;

- დონისძიებები სათანადო, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად;
- თანამშრომლებთან და მათ პროფკავშირებთან კონსულტაციის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა და კაცთა დაბალანსებულ მონაწილეობას ნებისმიერ საკონსულტაციო ან მოლაპარაკებათა ორგანოში.

(ბ) სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების აღკვეთა მკაფიო განცხადების გზით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია; მსხვერპლთა მხარდაჭერით, დამნაშავეებთან გამკლავებისთვის გამჭვირვალე პოლიტიკის შემოღებით და ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლებით;

(გ) ორგანიზაციის ყველა დონეზე იმ სამუშაო ძალისკენ განვითარება, რომელიც ასახავს მათი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას;

(დ) პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების დარეგულირების ხელშეწყობა შემდეგით:

- პოლიტიკის შემოღება, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ სამუშაო დრო და ზომები დასაქმებულებზე დამოკიდებულ პირებზე ზრუნვისთვის;
- კაცების ნახალისება, რომ გამოიყენონ თავიანთი უფლება აიღონ შვებულება დამოკიდებულ პირებზე ზრუნვისათვის.

სახელმწიფო შესყიდვები და კონტრაქტები

მუხლი 12

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკუთარი ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებისას, მათ შორის პროდუქციის მიწოდების, მომსახურების მიწოდების ან სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებების ჩათვლით, მას ეკისრება ქალთა და კაცთა თანასწორობის განვითარების პასუხისმგებლობა.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ამ პასუხისმგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იქ, სადაც იგი გთავაზობთ სხვა იურიდიულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევაზე, რომელზეც კანონის მიხედვით პასუხისმგებელია ხელმომწერი. ასეთ შემთხვევებში ხელმომწერი უზრუნველყოფს, რომ იურიდიულ პირს, რომელიც მოიპოვებს ხელშეკრულებას (როგორიც არ უნდა იყოს მისი საკუთრების ტიპი) უნდა ჰქონდეს იგივე პასუხისმგებლობა ქალთა და კაცთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად ან ხელშესაწყობად, რაც ხელმომწერ პირს ექნებოდა, თუ ის პირდაპირ მიაწვდიდა მომსახურებას.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, სადაც საჭიროდ მიიჩნევს, განახორციელოს შემდეგი ნაბიჯები:

(ა) თითოეული მნიშვნელოვანი კონტრაქტისთვის, რომლის დადებასაც აპირებს, განიხილოს შესაბამისი გენდერული შედეგები და თანასწორობის კანონიერად ხელშეწყობის შესაძლებლობები;

(ბ) უზრუნველყოს, რომ ხელშეკრულების სპეციფიკაციები ითვალისწინებენ გენდერული თანასწორობის მიზნებს ხელშეკრულებისათვის;

(გ) უზრუნველყოს, რომ შესაბამისი ხელშეკრულების სხვა კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს და ასახავს ამ მიზნებს;

(დ) გამოიყენოს ძალაუფლება ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური მაჩვენებლების მიღწევისათვის საჭირო პირობების დასადგენად;

(ე) საკუთარ პერსონალს ან მრჩეველებს დააკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვების ამოცანებისა და კონტრაქტების შესრულების დროს გაითვალისწინონ თავიანთი სამუშაოს გენდერული თანასწორობის განზომილება, მათ შორის ამ მიზნით ტრენინგის ჩატარებით;

(ვ) უზრუნველყოს, რომ ძირითადი ხელშეკრულების პირობები მოიცავდეს მოთხოვნას, რომ ქვე-კონტრაქტორებმა ასევე უნდა შეასრულონ შესაბამისი ვალდებულებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის.

მომსახურების მიწოდების როლი

მუხლი 13 – განათლება და უწყვეტი სწავლა

(1) ხელმომწერი აღიარებს საყოველთაო განათლების უფლებას და შემდგომში აღიარებს ყველასათვის პროფესიული და უწყვეტი ტრენინგის ხელმისაწვდომობის უფლებას. ხელმომწერი აღიარებს განათლების მნიშვნელოვან როლს ცხოვრების ყველა ეტაპზე, შესაძლებლობის ნამდვილი თანასწორობის უზრუნველყოფაში, ცხოვრების და დასაქმების აუცილებელი უნარ-ჩვევების უზრუნველყოფასა და პროფესიული განვითარების ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში.

(2) ხელმომწერი ვალდებულია, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა, გოგონებისა და ბიჭების განათლებისა და პროფესიული და უწყვეტი სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

(3) ხელმომწერი აღიარებს ქალისა და კაცის როლების სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრის საჭიროებას განათლების ყველა ფორმაში. ამისათვის იგი იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგ ზომებს:

- საგანმანათლებლო მასალების, სასკოლო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების გადახედვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ებრძვიან სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს და პრაქტიკას;
- კონკრეტული ქმედებების განხორციელება არატრადიციული კარიერული არჩევანის წახალისების მიზნით;
- სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის სწავლების კურსებში იმ ელემენტების სპეციფიკურ ჩართვას, რომლებიც ხაზს უსვამენ ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას დემოკრატიულ პროცესებში.

(4) ხელმომწერი აღიარებს, რომ სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გზები წარმოადგენს მნიშვნელოვან მოდელებს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, ამიტომ იგი იღებს ვალდებულებას

ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა დაბალანსებულ წარმომადგენლობას სკოლის მართვისა და მმართველობის ყველა დონეზე.

მუხლი 14 – ჯანმრთელობა

(1) ხელმომწერი აღიარებს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მაღალი დონის სარგებლობის საყოველთაო უფლებას და ადასტურებს, რომ ამ უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელია ქალთა და კაცთა კარგი ხარისხის ჯანდაცვისა და სამედიცინო მკურნალობისა და პროფილაქტიკური ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ როდესაც იგი უზრუნველყოფს ქალებისა და კაცებისთვის თანაბარ შესაძლებლობას ისარგებლონ ჯანმრთელობის კარგი პირობებით, სამედიცინო და ჯანმრთელობის სერვისებმა უნდა გაითვალისწინონ მათი განსხვავებული საჭიროებები. ისინი შემდგომ აღიარებენ, რომ ეს საჭიროებები წარმოიქმნება არა მხოლოდ ბიოლოგიური განსხვავებებიდან, არამედ საცხოვრებელი და სამუშაო პირობების განსხვავებებიდან და სტერეოტიპული დამოკიდებულებებიდან და დაშვებებიდან.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, რომ ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის უმაღლესი დონე. ამ მიზნით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგ ზომებს:

- ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების დაგეგმვის, რესურსების და მიწოდების გენდერული მიდგომის დანერგვა;
- უზრუნველყოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის ჯანსაღი დიეტის ნახალისება და ვარჯიშის მნიშვნელობა, მოიცავს ქალთა და კაცთა განსხვავებული საჭიროებების და დამოკიდებულების აღიარებას;
- უზრუნველყოს, რომ ჯანდაცვის მუშაკებმა, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობაში ჩართულებმა, აღიარონ გენდერის გავლენა სამედიცინო დახმარებაზე და ჯანდაცვაზე და გაითვალისწინონ ქალთა და კაცთა განსხვავებული გამოცდილება ჯანდაცვასთან მიმართებაში;

- ქალთა და კაცთა მიერ სათანადო სამედიცინო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 15 – სოციალური ზრუნვა და მომსახურება

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს უფლება მიიღოს აუცილებელი სოციალური მომსახურება და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სოციალური დახმარებით.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები, რაც შეიძლება წარმოიშვას მათ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებსა და სხვა ფაქტორებს შორის განსხვავებით. ამრიგად, ქალთა და კაცთა მიერ სოციალურ მზრუნველობაზე და სოციალურ მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ხელმომწერი მიიღებს ყველა გონივრულ ზომას, რომ:

- გამოიყენოს გენდერული მიდგომა სოციალური ზრუნვის და სოციალური მომსახურების დაგეგმვის, რესურსების მოძიების და მიწოდების საკითხში;
- უზრუნველყოს, რომ სოციალური ზრუნვის განვასა და სოციალურ მომსახურებაში მონაწილე პირები აცნობიერებენ იმ გზებს, რითაც გენდერი ახდენს გავლენას ამ მომსახურებაზე და გაითვალისწინებენ ქალთა და კაცთა განსხვავებულ გამოცდილებას ამ მხრივ.

მუხლი 16 – სააღმზრდელო დაწესებულებები მუხლი 17 – მფარველობის ქვეშ სხვა პირების მოვლა

(1) ხელმომწერი აღიარებს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასრულებენ ყველა მშობლისა და მეურვისათვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი სააღმზრდელო დაწესებულებები, მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ქალთა და კაცთა ქვემარტივი თანასწორობის დამკვიდრებისა და მათი სამუშაო, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობისთვის. ხელმომწერი, ასევე აღიარებს იმ წვლილს, რომელიც შეაქვს ასეთ სააღმზრდელო დაწესებულებებს ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და მთლიანად საზოგადოებაში.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდეს ასეთი სააღმზრდელო დაწესებულებების დებულების დადგენა და მისი ხელშეწყობა პირდაპირ ან სხვა მიმწოდებლების მეშვეობით. იგი აგრეთვე იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ამგვარი მომსახურების მიწოდებაში

სხვებს, მათ შორის ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფას ან მხარდაჭერას.

(3) ხელმომწერი შემდგომ აღიარებს, რომ ბავშვების აღზრდა მოითხოვს პასუხისმგებლობის განაწილებას ქალებს, კაცებსა და მთლიან საზოგადოებას შორის და იღებს ვალდებულებას, დაუპირისპირდეს გენდერულ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც ბავშვის მოვლა, ძირითადად არის ქალების ამოცანა ან პასუხისმგებლობა.

მუხლი 17 – მფარველობის ქვეშ სხვა პირების მოვლა

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს აქვთ პასუხისმგებლობა ბავშვების გარდა იზრუნონ სხვა დამოკიდებულ პირებზე და რომ ამ პასუხისმგებლობამ შეიძლება გავლენა იქონიოს მათ შესაძლებლობებზე შესრულონ სრულყოფილი როლი ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

(2) ხელმომწერი, ასევე აღიარებს, რომ ასეთი ზრუნვის პასუხისმგებლობა არაპროპორციულად ეკისრებათ ქალებს და შესაბამისად, არის ბარიერი ქალთა და კაცთა თანასწორობისთვის.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, დაუპირისპირდეს ამ უთანასწორობას, საჭიროების შემთხვევაში:

- თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად გახადოს მფარველობის ქვეშ პირების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ზრუნვის დებულების დადგენა და მისი ხელშეწყობა პირდაპირ ან სხვა მიმწოდებლების მეშვეობით;
- დაეხმაროს და ხელი შეუწყოს იმ პირებს, ვინც განიცდის სოციალურ იზოლაციას მათზე დაკისრებული ზრუნვის პასუხისმგებლობის შედეგად;
- ჩაატაროს კამპანია სტერეოტიპების დასამსხვრევად, რომლის მიხედვითაც დამოკიდებულ პირებზე ზრუნვა, პირველ რიგში, ქალების პასუხისმგებლობაა.

მუხლი 18 – სოციალური ჩართულობა

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს უფლება იყოს დაცული სიღარიბისგან და სოციალური გარიყულობისგან და უფრო მეტიც, რომ ზოგადად, ქალები უფრო მეტად განიცდიან სოციალურ გარიყულობას, რადგან

მათ აქვთ ნაკლები წვდომა რესურსებზე, საქონელზე, მომსახურებებსა და შესაძლებლობებზე ვიდრე კაცებს.

(2) ამრიგად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, მთელი თავისი მომსახურებისა და საქმიანობის სპექტრის მასშტაბით და სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, მიიღოს ზომები საერთო კოორდინირებული მიდგომის ფარგლებში:

- ხელი შეუწყოს ეფექტურ ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ვინც ცხოვრობს ან აქვს რისკი იცხოვროს სოციალური გარიყულობის ან სიღარიბის პირობებში, დასაქმების, საცხოვრებლის, ტრენინგის, განათლების, კულტურის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სოციალური და სამედიცინო დახმარების მისაღებად;
- აღიაროს ქალების განსაკუთრებული საჭიროებები და მდგომარეობა, რომლებიც განიცდიან სოციალურ გარიყვას;
- მიგრანტ ქალთა და კაცთა ინტეგრაციის ხელშეწყობა მათი კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 19 – საცხოვრებელი პირობები

(1) ხელმომწერი აღიარებს საცხოვრებლის პირობების უფლებას და ადასტურებს, რომ კარგი ხარისხის საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებას, რომელიც აუცილებელია ადამიანისა და მისი ოჯახის კეთილდღეობისთვის.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს ხშირად აქვთ კონკრეტული და მკაფიო საჭიროებები საცხოვრებელთან დაკავშირებით, რაც სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული, მათ შორის ის ფაქტი, რომ:

- (ა) საშუალოდ, ქალებს აქვთ ნაკლები შემოსავალი და რესურსები, ვიდრე კაცებს და შესაბამისად, საჭიროებენ მათთვის ხელმისაწვდომ საცხოვრებელს;
- (ბ) ქალები არიან საოჯახო მეურნეობის უფროსები მართოხელა მშობლების ოჯახებში და აქვთ სოციალურ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის მუდმივი საჭიროება;

- (გ) მონყვლადი კაცები ხშირად ზედმეტად არიან წარმოდგენილი უსახლკა-როთა შორის.
- (3) ხელმომწერი, შესაბამისად, იღებს ვალდებულებას რომ საჭიროების შემ-თხვევაში:
 - (ა) უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს სათანადო ზომისა, სტანდარტის და ღირსეული გარემოს მქონე საცხოვრებელზე და აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობას ყველასთვის;
 - (ბ) გადადგას ნაბიჯები უსახლკარობის აღსაკვეთად და განსაკუთრებით, დაეხმაროს უსახლკაროებს საჭიროების, მონყვლადობისა და დისკრი-მინაციის აკრძალვის კრიტერიუმებზე დაყრდნობით;
- (გ) თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გახადონ საცხოვრებლის ფასი ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც არ აქვს შესაბამისი რესურსები.
- (4) ხელმომწერი, ასევე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა თანაბარ უფლებას, იყვნენ თავიანთი სახლის დამქირავებელი, მესაკუთრე ან სხვა სახის მესაკუთრეები და აგრეთვე, ამ მიზნით, გამოიყენონ საკუთარი უფლებამოსილება ან გავლენა, რომ მისცენ ქალებს თანაბარი წვდომა გირაოზე და სხვა სახის ფინანსურ დახმარებაზე და კრედიტზე საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

მუხლი 20 – კულტურა, სპორტი და დასვენება

- (1) ხელმომწერი აღიარებს ყველას უფლებას მონაწილეობა მიიღონ კულ-ტურულ ცხოვრებაში და ისიამოვნონ ხელოვნებით.
- (2) ამასთან, ხელმომწერი აღიარებს სპორტის როლის წვლილს საზოგადოების ცხოვრების და ჯანმრთელობის უფლებების უზრუნველყოფაში, როგორც ეს აღწერილია მე-14 მუხლში. იგი, ასევე აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება კულტურულ, რეკრეაციულ და სპორტულ ღონისძიებებზე და საშუალებებზე.
- (3) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული გამოცდილება და ინტერესები კულტურის, სპორტისა და დასვენების მხრივ და რომ ეს შეიძლება იყოს გენდერული სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და ქმედებების შედეგი და შესაბამისად, იღებს ვალ-

დებულებას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგ ზომებს:

- გონივრულობის ფარგლებში უზრუნველყოს, რომ ქალებსა და კაცებს, ბიჭებსა და გოგოებს ჰქონდეთ თანაბარი პირობები და წვდომა სპორტულ, დასვენების და კულტურულ საშუალებებსა და აქტივობებზე;
- ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგოების წახალისება, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, მათ შორის ისეთებში, რომლებიც ტრადიციულად განიხილება, როგორც ძირითადად “ქალის” ან “კაცის”;
- მხატვრებისა და კულტურული და სპორტული ასოციაციების წახალისება კულტურული და სპორტული ღონისძიებების პოპულარიზაციისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგება სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალთა და კაცთა შესახებ;
- საჯარო ბიბლიოთეკის მომსახურებების ხელშეწყობა, რომელიც შეეწინააღმდეგება გენდერულ სტერეოტიპებს, მათ მარაგში არსებული წიგნების და სხვა მასალების მეშვეობით და სარეკლამო აქტივობების დახმარებით.

მუხლი 21 – დაცვა და უსაფრთხოება

(1) ხელმომწერი აღიარებს თითოეული ქალისა და კაცის უფლებას ჰქონდეს პირადი უსაფრთხოება და გადაადგილების თავისუფლება და რომ ამ უფლებების თავისუფლად ან თანაბრად გამოყენება შეუძლებელია, თუ ქალი ან კაცი არის დაუცველი ან ვერ გრძნობს თავს დაცულად, იქნება ეს კერძო თუ საზოგადოებრივ საკუთრებაში, ან თუ თავს გრძნობს დაუცველად ან ვერ გრძნობს თავს დაცულად.

(2) ხელმომწერი, ასევე აღიარებს, რომ ქალები და კაცები, ნაწილობრივ განსხვავებული ვალდებულებებისა და ცხოვრების წესის გამო, ხშირად განიცდიან უსაფრთხოებისა და დაცვის განსხვავებულ პრობლემებს, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს.

(3) ხელმომწერი, შესაბამისად, იღებს ვალდებულებას რომ:

- (ა) გენდერული თვალსაზრისით გააანალიზოს ინციდენტის მოცულობისა და მაგალითების სტატისტიკა (მათ შორის, ადამიანის მიმართ მძიმე

დანაშაული), რომელიც გავლენას ახდენს ქალთა და კაცთა უსაფრთხოებაზე და დაცულობაზე და საჭიროების შემთხვევაში, გაზომოს დანაშაულის შიშის დონე და ხასიათი, ან საშიშროების სხვა წყაროები;

- (ბ) სტრატეგიების, პოლიტიკისა და ქმედებების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის ადგილობრივი გარემოს მდგომარეობისა და დიზაინის სპეციფიკური გაუმჯობესების ჩათვლით (მაგალითად, სატრანსპორტო კვანძები, ავტოსადგომები, ქუჩის განათება), ან საპოლიციო და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, რომ გააძლიეროს ქალთა და კაცთა პრაქტიკული უსაფრთხოება, დაცულობა და გაძლიერება და შეეცადოს შეამციროს მათ მიერ დაცვისა და უსაფრთხოების ნაკლებობის აღთქმა.

მუხლი 22 – ძალადობა გენდერული ნიშნით

(1) ხელმომწერი აცნობიერებს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა, რომელიც არაპროპორციულად აისახება ქალებზე, წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას და შელახავს ადამიანის ღირსებას და ფიზიკურ და ემოციურ მთლიანობას.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოიშობა მოძალადის მხრიდან იმ შეხედულებით, რომ ერთი სქესი ფლობს სხვაზე უპირატესობას ძალაუფლების არათანაბარი ურთიერთობის ფონზე.

(3) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ჩამოაყალიბოს და გააძლიეროს პოლიტიკა და ქმედებები გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის:

- მსხვერპლთა დახმარების კონკრეტული სტრუქტურების უზრუნველყოფა ან დახმარება;
- თითოეულ, ძირითად ადგილობრივ ენაზე საჯარო ინფორმაციის მიწოდება რეგიონში არსებული დახმარების შესახებ;
- პროფესიონალი პერსონალის მიერ ტრენინგის გავლის უზრუნველყოფა მსხვერპლის იდენტიფიკაციისა და დახმარების საკითხში;
- შესაბამის სამსახურებს შორის პოლიციას, ჯანმრთელობისა და საბინაო ორგანოებს შორის ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფა;

- ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა, რომლებიც მიზნად ისახავს პოტენციურ და რეალურ მსხვერპლსა და დამნაშავეს.

მუხლი 23 – ადამიანით ვაჭრობა

(1) ხელმომწერი აცნობიერებს, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, რომელიც არაპროპორციულად აისახება ქალებზე და გოგონებზე, წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას და შელახავს ადამიანის ღირსებას და ფიზიკურ და ემოციურ მთლიანობას.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს და გააძლიეროს პოლიტიკა და ქმედებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მიზნით, მათ შორის:

- ინფორმაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები;
- ტრენინგების პროგრამები პროფესიონალი პერსონალისთვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მსხვერპლის იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერაზე;
- ზომების მიღება მოთხოვნის შემცირების მიზნით;
- დაზარალებულთა დასახმარებლად სათანადო ზომები, მათ შორის სამედიცინო დახმარება, ადეკვატური და უსაფრთხო საცხოვრებელი და ენის თარგმანი.

დაგეგმვა და მდგრადი განვითარება

მუხლი 24 – მდგრადი განვითარება

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მისი ტერიტორიის მომავლის სტრატეგიის დაგეგმვისა და შემუშავებისას, სრულად უნდა იქნას დაცული მდგრადი განვითარების პრინციპები, რაც მოიცავს ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურული განზომილებების დაბალანსებულ ინტეგრაციას და განსაკუთრებით, მათ შორის საჭიროა ხელი შეუწყოს და მიაღწიოს ქალთა და კაცთა თანასწორობას.

(2) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, გაითვალისწინოს ქალთა და კაცთა თანასწორობის პრინციპი, როგორც მისი გეგმის, ან სტრატეგიის შემუშავების ფუნდამენტური განზომილება მისი ტერიტორიის მდგრადი განვითარებისათვის.

მუხლი 25 - ურბანული და ადგილობრივი დაგეგმარება

(1) ხელმომწერი აღიარებს სივრცის, ტრანსპორტის, ეკონომიკური განვითარების და მიწათსარგებლობის პოლიტიკისა და გეგმების მნიშვნელობას იმ პირობების შექმნისას, რომელთა ფარგლებში შეიძლება უფრო სრულყოფილად იყოს მიღწეული ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლება ადგილობრივ ცხოვრებაში.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული პოლიტიკისა და გეგმების შემუშავების, მიღების და განხორციელების პროცესში.

- სრულად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი ცხოვრების ყველა ასპექტში ეფექტური თანასწორობის განვითარების საჭიროება.
- სათანადოდ იქნება გათვალისწინებული შესაბამისი ადგილობრივი და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ქალთა და კაცთა სპეციფიკური საჭიროებები, მაგალითად, დასაქმება, მომსახურებაზე და კულტურულ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობა, განათლება და ოჯახის პასუხისმგებლობა, ხელმომწერის საკუთარი გენდერული თანასწორობის შეფასებების ჩათვლით.
- მიღებული იქნება მაღალი ხარისხის დიზაინის გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებს ქალთა და კაცთა სპეციფიკურ საჭიროებებს.

მუხლი 26 – მობილობა და ტრანსპორტი

1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მობილობა და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა აუცილებელი პირობაა ქალისა და კაცისთვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი უფლებების გამოყენება, დავალებებისა და საქმიანობის განხორციელება, მათ შორის ხელმისაწვდომობა სამუშაოზე, განათლებაზე, კულტურასა და აუცილებელ მომსახურებაზე. იგი ასევე აღიარებს, რომ მუნიციპალიტეტის ან

რეგიონის მდგრადობა და წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეფექტური, მაღალი ხარისხის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების განვითარებაზე.

(2) ხელმომწერი, ასევე აღიარებს რომ ქალებსა და კაცებს, პრაქტიკაში, ხშირად აქვთ სხვადასხვა საჭიროებები, აგრეთვე გამოყენების მაგალითები, მობილობასა და ტრანსპორტთან მიმართებაში, ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა შემოსავალი, ზრუნვის პასუხისმგებლობა ან სამუშაო საათები. შესაბამისად, ქალები ხშირად წარმოადგენენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელთა უფრო მეტ ნაწილს, ვიდრე კაცები.

(3) ხელმომწერი, შესაბამისად, იღებს ვალდებულებას, რომ:

- (ა) ქალთა და კაცთა შესაბამისი მობილობის საჭიროებების და ტრანსპორტის გამოყენების მაგალითების გათვალისწინება, მათ შორის ქალაქის და სოფლის თემებიდან;
- (ბ) უზრუნველყოს, რომ ხელისუფლების ორგანოს რეგიონში მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სატრანსპორტო მომსახურება ხელს უწყობს ქალისა და კაცის, როგორც კონკრეტული, ასევე საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას, და ასევე, ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა რეალური თანასწორობის მიღწევაში.

(4) ხელმომწერი ასევე იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისების პროგრესულ გაუმჯობესებას მის რეგიონში და მისი რეგიონისთვის, მათ შორის, ინტერმოდალური კავშირებით, ქალთა და კაცთა რეგულარული, ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ტრანსპორტის კონკრეტული და საერთო საჭიროებების მოგვარების მიზნით და ხელი შეუწყოს მის მდგრად განვითარებას.

მუხლი 27 – ეკონომიკური განვითარება

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ დაბალანსებული და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა არის წარმატებული მუნიციპალიტეტის ან რეგიონის სასიცოცხლო კომპონენტი და მისი საქმიანობა და მომსახურება ამ სფეროში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალთა და კაცთა თანასწორობის წინსვლას.

(2) ხელმომწერი აღიარებს ქალთა დასაქმების დონისა და ხარისხის გაზრდის აუცილებლობას და შემდგომ აღიარებს, რომ სიღარიბის რისკი, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან უმუშევრობასთან და არაანაზღაურებად შრომასთან, განსაკუთრებით მაღალია ქალებისათვის.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ეკონომიკური განვითარების სფეროში მის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით, სრულად გაითვალისწინოს ქალთა და კაცთა საჭიროებები და ინტერესები და მათ შორის თანასწორობის განვითარების შესაძლებლობები და ამ მიზნით მიიღოს შესაბამისი ზომები. ასეთი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს:

- მეწარმე ქალთა დახმარებას;
- უზრუნველყოს, რომ საწარმოს ფინანსური და სხვა სახის დახმარება ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას;
- სტაჟიორი ქალების ნახალისება შეიძინონ უნარ-ჩვევები და მიიღონ კვალიფიკაცია სამუშაოებისთვის, რომლებიც ტრადიციულად აღიქმება როგორც “კაცის” საქმე და პირიქით;
- დამსაქმებლების ნახალისება ქალი შეგირდებისა და სტაჟიორების აყვანის მიზნით, უნარ-ჩვევებთან, კვალიფიკაციასა და თანამდებობებთან მიმართებაში, რომლებიც ტრადიციულად აღიქმება როგორც “კაცის” საქმე.

მუხლი 28 – გარემო

(1) ხელმომწერი აღიარებს თავის პასუხისმგებლობას, საკუთარ ტერიტორიაზე იმუშაოს მაღალი დონის დაცვისა და გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზე, მათ შორის ნარჩენების, ხმაურის, ჰაერის ხარისხის, ბიომრავალფეროვნების და კლიმატის ცვლილების გავლენის ადგილობრივი პოლიტიკის მიმართებაში. იგი აღიარებს ქალთა და კაცთა თანაბარ უფლებას ისარგებლონ მისი მომსახურებით და გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის მომსახურებით.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ბევრგან ქალისა და კაცის ცხოვრების სტილი განსხვავდება და რომ ქალი და კაცი შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივი სერვისებისა და საზოგადოებრივი თუ ღია სივრცეების გამოყენებაში, ან დაუპირისპირდეს სხვადასხვა გარემოსდაცვით პრობლემებს.

(3) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი გარემოს დაცვითი პოლიტიკისა და მომსახურების შემუშავებაში, სრულად და თანაბრად გაითვალისწინოს ქალთა და კაცთა სპეციფიკური საჭიროებები და ცხოვრების სტილი და თაობებს შორის სოლიდარობის პრინციპი.

მარეგულირებლის როლი

მუხლი 29 – ადგილობრივი მთავრობა, როგორც მარეგულირებელი

(1) ხელმომწერი ასრულებს საკუთარ დავალებებსა და კომპეტენციებს, როგორც თავის არეალში შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელი და აღიარებს ეფექტური რეგულირების და მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ის, ასევე აღიარებს, რომ შესაბამისი მარეგულირებელი საქმიანობა შეიძლება განსხვავებულად მოქმედებდეს ქალებზე და კაცებზე.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საკუთარი მარეგულირებელი ამოცანების შესრულების დროს, გაითვალისწინოს ქალისა და კაცის კონკრეტული საჭიროებები, ინტერესები და გარემოებები.

გაერთიანება (თვინინგი) და საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30

(1) ხელმომწერი აღიარებს გაერთიანების (თვინინგის) და ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ევროპული და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას მოქალაქეთა დაახლოებაში და საზღვრებს გარეთ ურთიერთ-სწავლისა და ურთიერთგაგების განვითარების ხელშეწყობაში.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას თავის საქმიანობაში გაერთიანების (თვინინგის) და ევროპული და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროებში:

- ამ ღონისძიებებში თანაბრად ჩართოს სხვადასხვა წარმოშობის ქალები და კაცები;
- გამოიყენოს მისი გაერთიანების (თვინინგის) ურთიერთობები და ევროპული და საერთაშორისო პარტნიორობა, როგორც ქალთა და კაცთა თანასწორობის საკითხებზე გამოცდილების გაცვლისა და ურთიერთ-სწავლის პლატფორმა.
- მოახდინოს გენდერული თანასწორობის განზომილების ინტეგრირება დეცენტრალიზებული თანამშრომლობის მოქმედებებში.

ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭო (CEMR) არის ყველაზე ფართომასშტაბიანი ადგილობრივი და რეგიონული ასოციაცია ევროპაში. მისი წევრები არიან ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ეროვნული ასოციაციები ევროპის ოცდაათი ქვეყნიდან.

CEMR-ის მთავარი მიზანია ძლიერი, გაერთიანებული ევროპის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობებსა და დემოკრატიაზე; ევროპა, რომელშიც გადაწყვეტილებები მიიღება მოქალაქეებთან რაც შეიძლება ახლოს, სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად. CEMR-ის საქმიანობა მოიცავს თემების ფართო სპექტრს, მათ შორის საზოგადოებრივ მომსახურებებს, ტრანსპორტს, რეგიონალურ პოლიტიკას, გარემოს, თანაბარ შესაძლებლობებს ...

CEMR ასევე აქტიურია საერთაშორისო ასპარეზზე. ეს არის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების, გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობების (UCLG) მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული განყოფილება.

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია

ევროპის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების ქარტია, რომელიც აკისრებს მათ თავიანთი პარტნიორობის და უფლებამოსილებების გამოყენების ვალდებულებას საკუთარი ხალხისთვის მეტი თანასწორობის მისაღწევად.

მე, ხელმოწერი..... (ხელმოწერის სახელი)

მიკავია თანამდებობა

..... (ადგილობრივი / რეგიონული მთავრობის დასახელება)

ამ ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ზემოხსენებული ხელისუფლების ორგანო ოფიციალურად დათანხმდა დაიცვას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია და მისი დებულებები, და რომ მე ვარ სათანადოდ უფლებამოსილი ვიმოქმედო მისი სახელით ამ საკითხში

ხელმოწერილია

თარიღი.....

როგორც ამ ქარტიის ხელშეწყობი, ვეთანხმები ამ ფორმით ხელმოწერილი და შეესებული ასლის გაგზავნას ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში შემდეგ მისამართზე:



გენერალური მდივანი ევროპის
რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა
საბჭო
15 rue de Richelieu
F-75001 პარიზი - საფრანგეთი



ქარტია დაბეჭდილია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული
ასოციაციის (NALAG) მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით
და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით